საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/764
11.07.2025

ბრძანება

764-01-4-202507111720

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის ხელახალი დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებისა და მე-12 მუხლის მე-7 პუქნტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე , 2024 წლის 14 აგვისტოს №01/4133 განცხადების საფუძველზე, ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრის, შპს „ბაუმეტალ ჯორჯიას“ (ს/ნ 400338773) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის პირველი ივლისის №03/884 მოხსენებითი ბარათი.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3080
14/07/2025

3080-01-2-202507141755

შპს „ბაუმეტალ ჯორჯიას“ (ს/ნ 400338773)
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ზღვისუბნის დასახლება,
მე-4 კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 13.
მის: ქ. თბილისი, ორხევი, კოსტავას N1.
ელ-ფოსტა: baumetallb@gmail.com

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ-საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოსულია
2024 წლის 14 აგვისტოს №01/4133 განცხადება, რომელიც ეხება შპს „ბაუმეტალ ჯორჯიას“ (ს/ნ 400338773) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში-კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტს.

საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, შესაბამისად, დაეთანხმა შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და შპს „ბაუმეტალ ჯორჯიას“ (ს/ნ 400338773) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე“ 2024 წლის 27 სექტემბრის №04/941 ბრძანებით დაასრულა მოვაჭრის მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა მოვაჭრის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე.

მოვაჭრე სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს არაჯეროვნად ასრულებს, კერძოდ სააგენტოში არ წარმოუდგენია პირობითი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები, ვადები და წესები, ინფორმაცია კანონისმიერი გარანტიის პირობების თაობაზე).

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სააგენტომ 2025 წლის 11 ივლისის 04/764 ბრძანებით ხელახლა დაიწყო საქმის შესწავლა შპს „ბაუმეტალ ჯორჯიას“ (ს/ნ 400338773) მიერ კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

შეგახსენებთ, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დანართის სახით გიგზავნით „მოქალაქე [redacted] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის ხელახალი დაწყების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 11 ივლისის 04/764 ბრძანების ასლს.

დანართი: „1“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი